ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12. 3723328001**
თარიღი:**24/11/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთი მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 22 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ძირითადად აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსისი და ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისი მოთხოვნებს.

აღნიშნული განსაკუთრებით ეხება პრიორიტეტების ,,განათლება“ და ,, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და სოციალური უზრუნველყოფის“ აღწერილობით ნაწილებს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრება 37 725,0 ათასი ლარით, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 9.4% მეტია.

საბიუჯეტო განაცხადის თანახმად კულტურა,ახალგაზრდობა და სპროტის პრიორიტეტის ჯამური რაოდენობა შეადგენს 6768,0 ათას ლარს, რაც 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს აჭარბებს 830,0 ათასი ლარით.

მათ შორის სკოლამდელი განათლების დაფინანსება იზრდება 715,0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დაიხარჯება 2749,0 ათასი ლარი რაც წინა წელთან შედარებით 296,0 ათასი ლარით მეტია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტთან მიმართებაში კომისიის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები ასე გამოიყურება:

1.ზოგიერთი ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილი დაფინანსებების პირობებში საჭიროა აღწერილობით ნაწილის დაზუსტება, დაინტერესებული პირებისთვის უფრო კონკრეტიზაციის კუთხით. უმეტესწილად პროგრამები სრულად ასახავს

დაფინანსების შინაარს. თუმცა რამდენიმე ღონისძიებების აღწერილობაში საჭიროა კორექტირების შეტანა.

2.გასწორებას საჭიროებს ინდიკატორები, როგორც რაოდენობრივ,ისე სხვა მახასიათ ჭრილში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მერიას წინამდებარე დასკვნაში მოცემული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი